# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 17

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 2011 წლის „17“ „თებერვალი“ ქ.თბილისში

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების მოთხოვნათა შესაბამისად საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით, სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით, გამარტივებული შესყიდვით („სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-$10^1$ მუხლის მესამე პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად)

**ერთის მხრივ** საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო (შემდგომში **შემსყიდველი**) ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის გიორგი ფუტკარაძის სახით, **მისამართი**: ქ.თბილისი, გ. გულუას ქ. № 6, ს/კ 204861943, **საბანკო რეკვიზიტები:** საქართველოს სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222, ანგ № 200122900. **ხოლო მეორეს მხრივ** შ.პ.ს. „კოპალა“ (შემდგომში **მიმწოდებელი**) მისი დირექტორის მირანდა ყვავაძის სახით. **მისამართი:** ქ. თბილისი, ჩეხოვის ქ. № 8/10. ს/კ 206118075. **საბანკო რეკვიზიტები:** ქ.თბილისი, ს.ს. „თიბისი ბანკის“ მთაწმინდის ფილიალი, ბანკის კოდი: TBCBGE22, ა/ა GE82TB0700000001467900, **ტელ**: 77-55-20. 899-18-52-37.

ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ვდებთ წინამდებარს ხელშეკრულებას შემდეგზე:

## *1. ხელშეკრულების საგანი*

1.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას 2011 წლის 17 თებერვალს 14 საათზე, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, რესტორან „კოპალა“-ში უზრუნველყოს შემსყიდველის წარმომადგენლების (სტუმართა) (ხუთი ადამიანი) გამასპინძლება ოფიციალურ სადილზე (სარესტორნო მომსახურეობა) ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

1.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში და ფორმით.

## *2. მომსახურეობის ღირებულება*

2.1 მთლიანი სახელშეკრულებო თანხა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის, რომელიც კანონით ვრცელდება მიმწოდებელზე შეადგენს **300 (სამასი)** ლარს.

2.2 ფასების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

## *3. მომსახურეობის მიღება-ჩაბარება*

3.1 მომსახურეობა ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ შესაბამის მიღება-ჩაბარების აქტზე და საგადასახდო ანგარიშ-ფაქტურაზე შემსყიდველის მხრიდან ხელმოწერის შემდეგ.

3.2 მომსახურეობის მიღების დამადასტურებელ დოკუმენტაციას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები, რომლებიც აფორმებენ შესაბამის დოკუმენტებს ხარისხისა და რაოდენობის მიხედვით.

3.3 საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე შემსყიდველი ახდენს ანგარიშსწორებას მიმწოდებლისგან ფაქტიურად განხორციელებული მომსახურეობისათვის.

## *4. მომსახურეობის განხორციელების ვადები და ადგილი*

4.1 მომსახურეობა უნდა განხორციელდეს 2011 წლის 17 თებერვალს 14 საათზე, რესტორან „კოპალა“-ში, მისამართზე: ქ. თბილისი, ჩეხოვის ქ. № 8/10. (მენიუს შედგენა იწარმოებს მომსახურეობის გაწევის დროს)

## *5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი*

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია ხარისხიანად განახორციელოს მომსახურეობა.

5.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოითხოვოს ანაზღაურება ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

5.3 შემსყიდველი ვალდებულია გადაუხადოს მიმწოდებელს ანაზღაურება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობის განხორციელებისათვის ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

5.4 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს სხვას მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

5.5 შემსყიდველია უფლებამოსილია მოითხოვოს მიმწოდებლისაგან ამ ხელშეკრულებით ნაკისრი პირობების განუხრელი შესრულება.

5.6 მიმწოდებელი პასუხს აგებს გაწეული მომსახურების ხარისხზე, ხოლო შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს მომსახურების ხარისხის შემოწმება/კონტროლი, რისთვისაც გამოყოფს შესაბამის უფლებამოსილ პირს და თუ ამ პერიოდში აღმოჩნდება უხარისხო (წუნდებული) მომსახურება დამკვეთი უფლებამოსილია წარუდგინოდს შემსრულებელს დასაბუთებული რეკლამაცია, რის შემდეგ შემსრულებელი ვალდებულია 0.15 საათის განმავლობაში გამოასწოროს რეკლამაციაში მითითებული ხარვეზები.

5.7 მომსახურების შესრულება დასტურდება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით. მომსახურეობის გაწევის შემდეგ მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს განხორციელებული მომსახურეობის შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი, საგადასახდო ანგარიშ-ფაქტურა და მენიუ-ჩეკი.

## *6. გარანტია*

6.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ განხორციელებული მომსახურეობა იქნება ხარისხიანი და შეესაბამება ხელშეკრულების მოთხოვნებს.

## *7. ანგარიშსწორება*

7.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება მომსახურეობის გაწევის შემდეგ 20 (ოცი) სამუშაო დღის განმავლობაში, მიმწოდებლის მიერ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის, მენიუ ჩეკის და მიღება-ჩაბარების აქტის წარდგენის საფუძველზე.

7.2 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

7.3 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

## *8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა*

8.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

8.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

8.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## *9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება*

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

## *10. მხარეთა პასუხისმგებლობა*

10.1 ხელშეკრულების მონაწილე მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალი, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

10.2 მიმწოდებელი კისრულობს პასუხისმგებლობას გადაუხადოს პირგასამტეხლოს სახით შემსყიდველს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობის განხორციელების ვადების დარღვევის შემთხვევაში ხელშეკრულების ღირებულების 100 (ასი) პროცენტი.

10.3 შემსყიდველი კისრულობს პასუხისმგებლობას გადაუხადოს მიმწოდებელს პირგასამტეხლოს სახით ანგარიშსწორების ვადების დარღვევისათვის გადასახდელი თანხის 0.01 პროცენტი ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის.

## *11. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო*

11.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

11.1.1 თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია განახორციელოს მთლიანი მომსახურეობა ან მისი ნაწილი;

11.1.2 თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

11.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყეტის შესახებ აგრეთვე:

11.3.1 თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

11.3.2 მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

11.3.3 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

## *12. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი*

12.1 შემსყიდველს უფლება აქვს მიმწოდებლის მიერ მომსახურეობის განხორციელებისას, განახორციელოს კონტროლი. კონტროლს განახორციელებს სამინისტროს ბიომრავალფეროვნების დაცვის სამსახურის უფროსი იოსებ ქარცივაძე და სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსი დავით ტაბატაძე (შემდგომში „ინსპექტირების ჯგუფი“).

12.2 ინსპექტირების ჯგუფის ფუნქციებია:

12.2.1 გაუწიოს კონტროლი მომსახურეობის განხორციელების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას.

12.2.2 დაადგინოს შეესაბამება, თუ არა განხორციელებული მომსახურეობა ხელშეკრულების მოთხოვნებს.

12.2.3 უზრუნველყოს განხორციელებული მომსახურეობის მიღება.

12.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

12.4 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## *13. ფორს-მაჟორი*

13.1. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

13.2 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## *14. სადაო საკითხების გადაწყვეტა*

14.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

14.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს სასამართლოს.

14.3 პირობები რომლებიც არ რეგულირდება ამ ხელშეკრულებით მიიღება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## *15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა*

15.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელისმოწერის და საქართველოს სახელმწიფო სახაზინო სამსახურში მისი რეგისტრაციის დღიდან და მოქმედებს 2011 წლის 30 მაისამდე.

15.2 ხელშეკრულება შესრულებულია და ხელმოწერილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად, რომლებიც ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან.

| „შემსყიდველი” | „მიმწოდებელი” |
|---|---|
| --- | --- |
| გიორგი ფუტკარაძე | მირანდა ყვაციაძე |
| ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი | შ.პ.ს. „კოპალა”-ს დირექტორი |